ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 56-43

"3" აპრილი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 300330000.35.101.016081) და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

ა) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკუთრებაში ან სარგებლობაში იქონიოს თითოეული ლოტისთვის მინიმუმ 1 საავტობუსო პარკი. უზრუნველყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებული ლოტისათვის განსაზღვრული

ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობის არასამუშაო დროს საავტობუსო პარკში დგომა, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“;

ბ) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს, „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისას, მის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ნებართვის გამცემის წერილობითი თანხმობით, განსაზღვროს ავტობუსების დისლოკაციის ადგილები და მათი მარშრუტები;“;

გ) მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადით უფლებამოსილია/ვალდებულია შეაჩეროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ცვლილებები გავრცელდეს „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის №5864-სს დადგენილების ამოქმედების დღიდან.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**